

**საქართველოს მთავრობის
დადგენილება
N 184 2009 წლის 9 ოქტომბერი ქ. თბილისი**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის
სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სახედ სასწავლო
უნივერსიტეტის განსაზღვრისა და სახელწოდების
შეცვლის შესახებ**

მუხლი 1. “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 13¹ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის “დ” ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სახედ განისაზღვროს სასწავლო უნივერსიტეტი და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას ეწოდოს “სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია”.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ჩაითვალოს “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის დაფუძნების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 აპრილის N79 დადგენილებით დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის უფლებამონაცვლედ.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის საზღვაო აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 8 სექტემბრის N762 ბრძანებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ნიკა გილაური